ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.08.18

საჩივრის რეგისტრაციის №106/18

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ზ. ნ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ნ.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ნ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წელს დააპატიმრეს. დაპატიმრების შემდეგ, 2010 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში, 7000 აშშ დოლარი ადვოკატმა ზ. ნ.-მ აიღო ლ. ც.-ის მფლობელობაში არსებული მაღაზია-ლომბარდიდან, რომელიც უნდა გადაეგზავნა ლ. ც.-ის დისთვის. აღნიშნული მოქმედების განსახორციელებლად ლ. ც.-ს ზ. ნ.-ს სახელზე გაცემული ჰქონდა მინდობილობა.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ზ. ნ.-მ 7000 აშშ დოლარიდან თანხის ნაწილი ნაწილ-ნაწილ, 2010 წლიდან 2012 წლამდე გადაუხადა ლ. ც.-ის დას. 2014 წელს საჩივრის ავტორი გამოვიდა ციხიდან და ადვოკატი დაჰპირდა, რომ მისცემდა თანხის დარჩენილ ნაწილს 1200 აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, ამის შემდეგ ლ. ც. ვეღარ დაუკავშირდა ზ. ნ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წელს ის კვლავ დააპატიმრეს, ხოლო 2018 წლის 03 ივლისს შემთხვევით, შეხვდა ზ. ნ.-ს საპატიმრო დაწესებულების საგამოძიებო ოთახში. ადვოკატი დაჰპირდა, რომ დაუწერდა ხელწერილს ვალის აღიარების თაობაზე და ნაწილ-

ნაწილ, 200-200 ლარის ოდენობით დაფარავდა ვალს. რაზედაც, საჩივრის ავტორი დათანხმდა და იმავე დღეს, ზ. ნ.-მ შეადგინა ხელწერილი ლ. ც.-ის მიმართ 1200 აშშ დოლარის ვალის აღიარების თაობაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 06 ნოემბერს ადვოკატმა ზ. ნ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ლ. ც.-ს იცავდა 2011-2012 წლებში. საჩივრის ავტორი დაკავებული იყო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების - ჰეროინის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისათვის. მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც შეეფარდა 14 წლის თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, გამოძიების პროცესში ლ. ც.-ის კუთვნილი სალონი-ლომბარდი დაილუქა. როდესაც დადგა ლუქის ახსნის დრო, ლ. ც.-მ ადვოკატის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც ზ. ნ.-ს უფლება მიენიჭა მიეღო ლომბარდში დალომბარდებული ნივთები, ხოლო ნივთების მესაკუთრეების მიერ თანხის შემოტანის შემდეგ მიღებული ფულადი თანხა გადაერიცხა ლ. ც.-ის დისთვის. მესაკუთრეთა მიერ სულ შემოტანილმა თანხამ შეადგინა 4 000 აშშ დოლარი, რაც სამი თვის შემდეგ ადვოკატმა გადაურიცხა სს „საქართველოს ბანკის“ მეშვეობით ლ. ც.-ის დას.

2.3 ადვოკატი უარყოფს ლ. ც.-ისგან ფულის აღების ფაქტს. მისი განცხადებით, ლ. ც.-მ მას 2011 წელს უჩივლა ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში. პროკურატურამ შეამოწმა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და გამოძიება შეწყდა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ლ. ც.-ის ლომბარდში, მის მეზობელს, მ. კ.-ს დალომბარდებული ჰქონდა ინგლისური სასადილო სერვიზი 300 აშშ დოლარად. როდესაც ლომბარდში სამართალდამცავების მიერ ჩატარდა ჩხრეკა, აღნიშნული სერვიზიდან, დიდი ზომის ჭურჭელი სამი ნაწილად გატყდა. მ. კ.-მ სთხოვა ზ. ნ.-ს, ლ. ც.-ისთვის გადაეცა, რომ აღნიშნული სერვიზის ფასი 100 აშშ დოლარზე მეტი აღარ იყო და თანხა შეემცირებინა. ლ. ც. დათანხმდა 120 აშშ დოლარზე. ამ ფაქტის შემდეგ, ზ. ნ.-მ, ლ. ც.-ის სხვა ადვოკატთან ერთად. მ. კ.-ს სახლში მიუტანა სერვიზი და ეს უკანასკნელი დაჰპირდა, რომ 120 აშშ დოლარს გადაიხდიდა სამ კვირაში. თუმცა, მ. კ.-მ არ შეასრულა ვალდებულება. ზ. ნ. შეჰპირდა ლ. ც.-ს, რომ მისგან მიიღებდა 120 აშშ დოლარს, რაზედაც შეადგინეს ხელწერილი.

2.5 ადვოკატის განცხადებით, 2013 წლის ბოლოს ლ. ც.-მ მის წინააღმდე შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა ზ. ნ.-სთვის 1 200 აშშ დოლარის დაკისრება. 2013 წლის 01 დეკემბერს, ადვოკატს დაემართა მწვავე ინფაქტი, რის გამოც სასამართლომ მოპასუხის გარეშე გამოიტანა გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებით ზ. ნ.-ს დაეკისრა 1200 აშშ დოლარის და საექსპერტო ბიუროსთვის ექსპერტიზის დასკვნის საფასურის გადახდა, რომელიც ჩატარდა ხელწერილში აღნიშნული ციფრი „0“-ის მინაწერის არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით.

2.6 ადვოკატი ადასტურებს 2018 წლის 03 ივლისს ხელწერილის შედგენის ფაქტს, თუმცა აღნიშნავს, რომ ხელწერილი დაწერა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოერიდა N8 დაწესებულებაში აყალმაყალს და პატიმარზე ფიზიკურ შეხებას.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. ნ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული. ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ლ. ც.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 06 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2010-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ნ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ზ. ნ.-მ მისი მაღაზია-ლომბარდიდან აიღო თანხა 7000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაეცა ლ. ც.-ის დისთვის. ადვოკატმა აღნიშნული თანხის ნაწილი გადასცა საჩივრის ავტორის დას, თუმცა მისთვის არ გადაუცია დარჩენილი თანხა - 1200 აშშ დოლარის ოდენობით. ლ. ც.-ის პრეტენზიით, ადვოკატისადმი არაერთი თხოვნის მიუხედავად, ის არ ასრულებს ვალდებულებას და არ უბრუნებს თანხას.

4.2 ლ. ც. წარმოდგენილ საჩივარში არ საუბრობს ზ. ნ.-ს მხრიდან მისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურების თაობაზე. აღნიშნულის შესახებ, მხოლოდ ადვოკატი მიუთითებს განცხადებაში, რომლის თანახმად ის 2011-2012 წლებში იცავდა ლ. ც.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში. შესაბამისად, საჩივრის ავტორი არ აფიქსირებს პრეტენზიას ზ. ნ.-ს მიერ განხორციელებულ საადავოკატო მომსახურებაზე.

4.3 როგორც, საჩივრის ავტორი, ასევე ადვოკატი ადასტურებს, რომ 2010 წელს ლ. ც.-ის მიერ ზ. ნ.ზე გაიცა მინდობილობა, რომლის თანახმად ადვოკატს უფლებამოსილება მიენიჭა, ლ. ც.-ის საკუთრებაში არსებული ლომბარდში დალომბარდებული ქონების მესაკუთრეებისგან თანხა მიეღო და შემდეგ გადაეცა ლ. ც.-ის დისთვის.

4.4 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილ ორ ხელწერილზე, რომლებიც ხელმოწერილია ზ. ნ.-ს მიერ. კერძოდ, 2013 წლის 03 ივლის შედგენილი ხელწერილის მიხედვით, ადვოკატი ზ. ნ. აღიარებს ლ. ც.-ის მიმართ 1200 აშშ დოლარის ოდენობით ვალის არსებობას. ასევე, საქმეში წარმოდგენილი - 2018 წლის 03 ივლისს შედგენილი ვალის აღიარების შესახებ ხელწერილი, რომლითაც ზ. ნ. აღიარებს ლ. ც.-ის მიმართ ვალის - 1200 აშშ დოლარის არსებობას და კისრულობს ვალდებულებას, რომ თანხას გადაუხდის 6 თვის განმავლობაში, კერძოდ 2018 წლის 25 დეკემბრამდე. ეს უკანასკნელი დაწერილია გლდანის N8 დაწესებულებიის საგამოძიებო ოთახში.

4.5 საპროცესო კოლეგია, მხარეთა განცხადებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით აღნიშნავს, რომ ზ. ნ.-სა და ლ. ც.-ს შორის ურთიერთობა დაიწყო 2010 წლიდან, რაც გაგრძელდა შემოდგომი დავით, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. მათ შორის არსებული სადავო ურთიერთობა ადვოკატის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობამ განაპირობა. როგორც ადვოკატი განცხადებაში მიუთითებს, 2013 წლის 03 ივლისს შედგენილი ხელწერილის საფუძველზე ლ. ც.-მ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც ადვოკატ, ზ. ნ.-ს დაეკისრა 1 200 აშშ დოლარის გადახდა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით - 2018 წლის 03 ივლისს შედგენილი ხელწერილით, ადვოკატმა კვლავ აღიარა ვალის არსებობა და გამოხატა ვალდებულების შესრულების მზაობა. შესაბამისად, მხარეებს შორის წარმოიშვა ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშვა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულების-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. „რაც ნიშნავს იმას, რომ ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივ ძალასა თუ შინაარსზე“ (სუსგ Nას-839-890-2011, 08.11.2011წ). შესაბამისად, ლ. ც.-ს არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ნაწილში უფლება აქვს იდავოს სასამართლო სამართალწარმოების წესით.

4.6 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“.

4.7 ლ. ც.-ის მიერ საჩივარში მითითებული პრეტენზიები მიმართულია ადვოკატ ზ. ნ.-ს მიმართ, თუმცა მათ შორის არსებული სადავო ურთიერთობა არ არის დაკავშირებული ზ. ნ.-ს საადვოკატო საქმიანობასთან. საჩივრის ავტორის მოთხოვნები გამომდინარეობს მასა და ზ. ნ.-ს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, რაც არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, ლ. ც.-ის საჩივარზე დისციპლინური საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტები, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №106/18 ადვოკატ ზ. ნ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/